საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 6 19 00000598
2019 წლის 08 ოქტომბერი ქ.თბილისი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური
დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი
კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" და „ო" ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით,

ვბრძანებ:

1.
შეიქმნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისია (შემდეგ – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი;

ბ) კომისიის თანათავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ აზარაშვილი;

ბრძანება N MOD 5 21 00000198 29.03.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე;

გ.ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე;

გ.გ) სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორი ან მოადგილე;

გ.დ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე;

გ.ე) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-1 პერსონალის დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე;

გ.ვ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი ან მოადგილე;

გ.ზ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე;

გ.თ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან მოადგილე.

2. დაევალოს კომისიას სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში.

2^1. კომისია უფლებამოსილია:

ა) სასწრაფო/გადაუდებელი სამედიცინო ჩვენებებით შემოსული საკითხები, კომისიის სხდომის მოწვევის გარეშე განიხილოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (Emod) პროგრამაში ატვირთვით, რომელსაც ვიზირებებით დაადასტურებენ კომისიის წევრები;

ბ) კომისიის სხდომები აწარმოოს მოწვევის გარეშე, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (Emod) საკომუნიკაციო სივრცის („ჩათი") გამოყენებით, რა დროსაც კომისიის მდივანი განსახილველი კორესპონდენციის ამსახველ ცხრილს უგზავნის კომისიის წევრებს და მათი ამავე ცხრილზე დაფიქსირებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ამზადებს კომისიის სხდომის ოქმს ხელმოსაწერად.

ბრძანება N MOD 2 19 00000666 13.11.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ბრძანება N MOD 2 21 00000401 20.05.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2^2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი ამ ბრძანების 2^1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უფლებამოსილია გასცეს თანხმობა (საგარანტიო

წერილი).

ბრძანება N MOD 2 19 00000666 13.11.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. კომისია (გარდა ამ ბრძანების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) არ განიხილავს შემდეგ კორესპონდენციას:

ა) მშენებლობასთან, განათლების მიღებასთან დაკავშირებული, საბანკო ან/და საკრედიტო დაწესებულებებში არსებული დავალიანების დაფარვის, ბინის დაქირავების, დასასვენებელი და პირადი კომფორტის შესაქმნელად ხარჯების დაფინანსების თაობაზე;

ბ) მკურნალობასთან დაკავშირებით ფულადი დახმარების მოთხოვნას, თუ სამკურნალო/სამედიცინო დაწესებულება წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მზღვეველ სადაზღვევო კომპანიის არაპროვაიდერ დაწესებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროვაიდერი დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებას;

ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

გ) 1000 ლარიანი სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ ოჯახის წევრთა დახმარების მოთხოვნას, რომელთა ოჯახსაც სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის/გარდაცვალების გამო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებული აქვთ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული 100 000 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარება ან 85 000 ლარის ოდენობით დახმარება.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ბრძანებით განსაზღვრულ შესაბამის პირთა:

ა) მშობლების სამედიცინო მომსახურებისთვის მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 1,000 (ათას) ლარს, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, აანაზღაუროს მოთხოვნილი თანხა სრულად, ხოლო თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 1,000 (ათას) ლარს, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, აანაზღაუროს მოთხოვნილი თანხიდან 1,000 (ათასი) ლარი სრულად, ხოლო დარჩენილი სხვაობა 50%-ის ოდენობით;

ბ) რეაბილიტაციისთვის/აბილიტაციისთვის მოთხოვნილი თანხა (მათ შორის მეუღლის და შვილ(ებ)ის შემთხვევაში) არ აღემატება 2,000 (ორიათას) ლარს, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, აანაზღაუროს მოთხოვნილი თანხა სრულად, ხოლო

თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 2,000 (ორიათას) ლარს, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, აანაზღაუროს მოთხოვნილი თანხიდან 2,000 (ორითასი) ლარი სრულად, ხოლო დარჩენილი სხვაობა 50%-ის ოდენობით.

ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
ბრძანება N MOD 9 20 00000832 13.11.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
ბრძანება N MOD 8 20 00000958 30.12.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

5. პირმა კომისიაზე საკითხის განსახილველად განცხადებასთან (პატაკი/წერილი) ერთად უნდა წარადგინოს დანართი №1-ით განსაზღვრული აპლიკაციის შევსებული ფორმა.

6. კომისია, გარდა ამ ბრძანების მე-8 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის მიერ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფულადი დახმარების გაცემის მიზნით, გამოიცემა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

8. ამ ბრძანებით განსაზღვრული შეზღუდვების არსებობისას ან მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის) შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება კომისიის შემადგენლობის 2/3-ის თანხმობით.

9. კომისიის სხდომის მონაწილე წევრები ხელმოწერით ადასტურებენ კომისიის სხდომის ოქმის სისწორეს.

10. ამ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე წარმოდგენილი კორესპონდენცია კომისიაზე განიხილება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტი, მის მიერ შესაბამისი დოკუმენტების მოძიების/შესწავლის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს წერილობით გადაუგზავნის და

დაუდასტურებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ერთდროულად არსებობის ფაქტს:

ა) სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს არ გააჩნია შესაძლებლობა შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გასაწევად;

ბ) სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ან ნაწილობრივ ითვალისწინებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას ან არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ჯანმრთელობის სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა (შემდეგ - სახელმწიფო პროგრამა) არ ითვალისწინებს ან ნაწილობრივ ფარავს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ან პირი არ სარგებლობს სახელმწიფო პროგრამით.

ბრძანება N MOD 2 19 00000666 13.11.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

10^1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი კომისიაზე წარადგენს საკითხებს, რომლებსაც ახლავს დოკუმენტალურად დადასტურებული სამედიცინო/ადმინისტრაციული დოკუმენტაცია და დეტალური ინფორმაცია კორესპონდენციის ავტორის შესახებ (სტატუსი, ნამსახურება, დახმარებების მიღების პერიოდულობა და ოდენობა, ოჯახის წევრის ასაკი და ა.შ.).

ბრძანება N MOD 2 19 00000666 13.11.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

11. იმ შემთხვევაში, როდესაც ფულადი დახმარების გაცემის საფუძველია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი და თანხა გადასახდელია შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, ფულადი დახმარების მიმღები პირი ვალდებულია, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტში წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაცია (ფორმა N100). საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტი შეისწავლის წარმოდგენილ დოკუმენტაციას და თვეში ერთხელ, შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ანგარიშს წარუდგენს კომისიას.

ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

12. ამ ბრძანების მე-10 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარების მიმღები პირის მიერ ამავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების (რაც დასტურდება დანართი N1-ით დამტკიცებული ფორმის აპლიკაციაზე ხელმოწერით) შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე დარღვევის შესახებ აცნობებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს შესაბამისი რეაგირებისათვის.

ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

13. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს დაევალოს:

ა) განსაზღვრული წლიური რესურსის კონტროლი;

ბ) რეაგირების განხორციელება ფულადი დახმარების მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციაზე, რომელიც არ ექვემდებარება კომისიის მიერ განხილვას.

ბრძანება N MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

14. კომისიის მდივნის ფუნქციის განხორციელება დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელს.

15. საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის წარმომადგენლები.

16. კომისიას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს კომისიის თანათავმჯდომარე.

17. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის NMOD81600000818 ბრძანება.

18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

*ბრძანება **N** MOD 4 19 00000703 06.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
ბრძანება N MOD 5 21 00000198 29.03.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

აპლიკაცია

_____
თარიღი

პირადი ინფორმაცია		
	1. სახელი, გვარი, მამის სახელი	4. მისამართი
	2. პირადი ნომერი	5. ტელ. ნომერი
	3. დაბადების თარიღი	

აპლიკანტის სტატუსი		
	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **მოქმედი** თანამშრომელი/ სამხედრო მომსამსახურე	☐
	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **ყოფილი** თანამშრომელი/ სამხედრო მომსამსახურე	☐
	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლის/ სამხედრო მოსამსახურის **ოჯახის წევრი**	☐

მოთხოვნილი თანხის მიზნობრიობა:

სამედიცინო ხარჯების დაფინანსება	☐	ფულადი დახმარება	☐
ოჯახის წევრის სამედიცინო ხარჯების დაფინანსება	☐	სხვა	☐

მოთხოვნილი თანხის მოცულობა	

მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს:

ხარჯის სრულ დაფინანსებას ☐ ნაწილობრივ დაფინანსებას ☐

ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში, მიუთითეთ ხარჯის სრული ღირებულება და თანადაფინანსების წყაროები:

ინფორმაცია აპლიკაციის შემვსებთათვის

გადაწყვეტილება მიიღება ყოველი ინდივიდუალური განცხადების შედეგად

აპლიკანტის ვალდებულება სამედიცინო ხარჯების საზღვარგარეთ დაფინანსების შემთხვევაში

სამედიცინო ხარჯების საზღვარგარეთ დაფინანსების შემთხვევაში, აპლიკანტი იღებს ვალდებულებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ფულადი დახმარების სახით გამოყოფილი თანხა მიმართოს შესაბამისი მიზნობრიობით და მომსახურების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ჩეკი, დღგ, შემოსავლის ორდერი და სხვა) და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

დოკუმენტაცია (ფორმა N100). წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იტოვებს უფლებას მოითხოვოს გაცემული თანხის დაბრუნება. გავეცანი და ხელმოწერით ვეთანხმები ამ პირობებს.

ხელმოწერა _____